



23.07.2014 13:05

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [კონფლიქტის ზონა](#)
- [მედია](#)
- [ვაკანსია](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [ახალი ამბები](#) » კახა კალაძის და მისი მოადგილის წინააღმდეგ „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა

კახა კალაძის და მისი მოადგილის წინააღმდეგ „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა

2014.07.10 | 14:25

Like < 4

Tweet < 1



თბილისის საქალაქო სასამართლომ ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის და მისი მოადგილის ილია ელოშვილის წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

„მწვანე ალტერნატივას“ ინფორმაციით, მინისტრმა და მისმა მოადგილემ ორგანიზაციის წინააღმდეგ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაცია გაავრცელეს. „მწვანე ალტერნატივა“ კალაძისა და ელოშვილისგან გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას და ორგანიზაციის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა 1 აშშ დოლარის ოდენობით.

მოსამართლე ასმათ კობრეიძემ „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, მოსამართლეს გადაწყვეტილების საფუძველი არ განუმარტავს და სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებაც ამ დრომდე არ ჩაბარებიათ.

„დაახლოებით თვენახევარი იქნება, რაც სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა, მაგრამ წერილობით ამ დრომდე არ ჩაგვბარებია, არც ზეპირსიტყვიერად განუმარტავს მოსამართლეს მისი გადაწყვეტილების მიზეზები. აქედან გამომდინარე, არ ვიცით რის საფუძველზე მიიღო ეს გადაწყვეტილება. როცა ვნახავთ რა იყო საფუძველი, შესაბამისად გადავწყვეტთ გავასაჩივრებთ თუ არა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას“, - განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „მწვანე ალტერნატივას“ წამომადგენელმა ქეთი გუჯარაიძემ.

გარემოსდაცვითმა ორგანიზაციამ ილია ელოშვილის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში 2013 წლის 18 ოქტომბერს შეიტანა, კახა კალაძის წინააღმდეგ კი 19 ნოემბერს.

სასარჩელო განცხადების თანახმად, 2013 წლის 11 ნოემბერს, ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართული ერთი წლის მუშაობის შედეგების პრეზენტაციის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: „მწვანე ალტერნატივის უაზრო გაკეთებულ განცხადებებზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ, ეს არის რადიკალური ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას, ეკონომიკის განვითარებას, ქვეყნის განვითარებას“.

მინისტრის ინტერვიუ ასევე გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“, სათაურით – „მწვანე ალტერნატივა“ რადიკალების ჯგუფია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ეწინააღმდეგება“.

რაც შეეხება ილია ელოშვილს, სარჩელის მიხედვით, 2013 წლის 19 სექტემბერს, რადიო „კომერსანტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ განაცხადა: „მწვანე ალტერნატივა“ არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთვნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ...ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, დღეს რომ თავს იღებენ, ნუ ჩაერევინ, თორემ ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით, ვიცით ვის რა ინტერესები ამოძრავებს. ...რა თქმა უნდა, მოსახლეობის ინტერესები გათვალისწინებული იქნება. საჯარო განხილვაზე თვითონ „მწვანე ალტერნატივა“ იყო, მისი წარმომადგენელი ძალიან გამაღიზიანებლად იქცეოდა. ეს ორგანიზაცია იყო იმ ჯგუფში, რომელმაც ამ პროექტის ცვლილებები შეიმუშავა და კონტრაქტორს მიაღებინა. არასამთავრობო ორგანიზაციები ყველა ჩართული იყო და ამისთვის ჩვენ მაღლობლები ვართ. რაც შეეხება ამ ადამიანების ინტერესებს, მათი ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული, ამას პრემიერ-მინისტრიც ამბობს. ამ ადამიანებს წინა მთავრობის პირობებში რა ბედი ეწეოდათ, წარმოგიდგენიათ? სახელმწიფოს ჰუმანურობა არ უნდა მივიღოთ სახელმწიფოს სისუსტედ. დაშინების და მუქარის ენით სახელმწიფოსთან ვერავინ ვერ ილაპარაკებს, ეს გამორიცხულია. ეს უნდა გაითვალისწინოს გინდა სამთავრობომ, გინდა არასამთავრობომ“.

კახა კალაძემ და ილია ელოშვილმა სასამართლოში შესაგებელი წარადგინეს, რომელშიც ნათქვამია, რომ მათი განცხადებები არ იყო მიზანმიმართული მოსარჩელის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვისკენ და წარმოადგენს მხოლოდ პასუხს მოსარჩელის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე.

Like 4

Tweet 1